ცნობის ფურცელი

№ 1727 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 პარასკევი, 15 თებერვალი № 1727

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

დავით იასეს ძე ლომიძე, ალექსანდრე სოლომონის ძე ბურდულოვი, ეფემია ასათიანისა, მაგდალინა გიორგაძისა და ზაქარია და მარიამ ფორაქოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ მეგობართა და ნათესავთ გარდაცვალებას პირველის ძვირფასის მეუღლისას, მეორენი საყვარელის დისას და მესამენი დედისას

ქეთევან სოლომონის ასულის ლომიძისას

და სთხოვენ პატივისცენ და მობრძანდნენ შაბათს, 16 თებერვალს, დილის 9 საათზე გასვენებაზე, კალოუბნის ეკკლესიაში საკუთარ სახლიდან. ვერის დალმართი № 7.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—10)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ქართული თეატრი

შაბათს, 16 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ნ. გ. ქათველიშვილის ლოტბაროგით

პირველად ქართულ სცენაზე

მეორე მოქმედება რუბინშტეინის ოპერიდან

I

დემონი

მონაწილეობას მიიღებენ: ბ.ბ ი. კარგარეთელი, მ. ნათაძე. ორკესტრის შესდგება 20-სა და ხორო 30-ს კაცისაგან.

II

ხოგი ჭირი მარგებელია

ხუმრობა 3 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობენ: ქ.ქ. ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა. ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება „ძალა აღმართსა ხნავს“, „ორი გმირი“, „ლანდი“.

რეჟისორი **ვ. გუნია**

გაიცემა **იჯარით** გორის მიძინების საკრებულო ეკკლესიის ერთ სართულიანი მაღაზია ოთხი ოთახით, რომელიც მდებარეობს ამავე საკრებულო ეკკლესის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით მდგომარე წლის მარტის 9-დან ხუთის წლის ვადით. ვაჭრობა იქნება ამავე საკრებულო ეკკლესიის გალავანში საეკკლესიო სახლში, ამა თებერვლის 17-ს, შუადღის 12 საათზე, ვაჭრობის მესამე დღეს განმეორებით. მოვაჭრემ ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს მესამედი ვაჭრობის ფულისა. ვაჭრობა დაიწყება ოცდა თხუთმეტ თუმნიდან. ვისაც ჰსურს შეტყობა პირობისა, შეუძლიან მიჰმართოს ეკკლესიის მღვდელს ბლაღოჩინს დიმიტრი ტატიევს.

გორის საკრებულო ეკკლესიის წინამძღვარი დეკანოზი პეტრიაონ თაყდგირიძე. (3—2)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა, ქართულის სცენის არტისტის **ვ. ა. აბაშიძის 25 წლის სასცენო მოღვაწეობა** იდღესასწაულოს ამ წლის 10 **მარტს**. გამგეობა, აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღესასწაულში, მიჰმართონ ხსენებულ გამგეობას და წინდაწინვე აცნობონ თავიანთი სურვილი.

თავად-აზნაურთა ქარვასლა, დრამატიულ საზოგადოების კანტორა. (3—1)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—12)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. საფრანგეთში დიდი ხანია ცდილობენ, რომ სამხედრო სამსახურისათვის ორი წლის ვადა დააწესონ. სენატმა ამ ორის წლის წინად მიანდო კომისიას, რომ ეს საქმე შეესწავლა. კომისიამ 1900 და 1901 წ.წ. განმავლობაში ეს საქმე შეისწავლა, მოხსენება შეადგინა და დაბეჭდა კიდეც. მოხსენება მთელი სქელი წიგნი გამოვიდა, 400 გვერდია ამ წიგნში. მოხსენება ორ ნაწილად გაიყოფა. თუ რა აზრისაა კომისია სამხედრო სამსახურის შესახებ, ამაზე პირველ ნაწილშია ლაპარაკი; მეორე ნაწილში კიდევ იმაზეა ლაპარაკი, თუ რა ღონისძიება უნდა მიიღონ სამხედრო სამსახურის წესების შესაცვლელად. სენატის კომისიის მომხსენებელი როლანი ჯერ ამბობს, რომ შესაძლებელიცაა და სასურველიცა, რომ სამხედრო სამსახურის ვადა ორ წლამდე შემცირდეს და შემდეგ იმაზე ლაპარაკობს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ რეფორმას: ჯარი შეცოტავდება კიდეც და ბრძოლის უნარიც დააკლდებაო. მერე, მომხსენებელი იძლევა რჩევას, თუ რანაირად უნდა მოეწყოს საქმე, რომ ამ რეფორმამ ჯარს არა ავნოს-რაო. ამისათვის, კომისიის აზრით, ჯარის-კაცები ვადის შესრულების შემდეგაც კიდევ ქირით უნდა დაარჩინონ სამსახურში; რაც ცუდა ჯარია (უფროსების მოსამსახურეები, ხელოსნები და სხვ.) უნდა შემცირდეს და განათლებულ და შეძლებულ ხალხს შეღავათი აღარა ჰქონდეთ სამხედრო სამსახურში. დასასრულ კომისია სთხოვს სენატს, სამხედრო რეფორმის განხილვას ეხლავე შეუდექითო.

✡ 2 თებერვალს ვალდეკ-რუსსომ მშვენიერი სადილი გაუმართა უცხოეთის ელჩებს. ინგლისის ელჩი არ მისულა სადილად. სამაგიეროდ ბურების წარმომადგენელი დოქტორი ლეიდსი დაესწრო ამ სადილს.

✡ დეპუტატთა პალატამ, გეხსომებათ, კანონ-პროექტი დაამტკიცა, რომ მაღნებში ოთხის წლის განმავლობაში თანდათან 8 საათის სამუშაო დღე დაწესდესო. ეს კანონ-პროექტი ეხლა სენატს გადაეცა განსახილველად. სენატსაც კომისია აურჩევია და მიუნდვია, რომ ეს კანონ-პროექტი განიხილოს. კომისიაში ცხრა წევრია; ხუთი ამათგანი კანონ-პროექტის მომხრეა თურმე.

ავსტრ-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტმა კანონ პროექტი ჯარის თაობაზე დაამტკიცა. კამათის დროს სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა, რომ სამხედრო სისხლის სამართლის ახალ წესდებას მალე შეადგენს მთავრობაო. ზოგმა დეპუტატმა ჯარი ცუდად მოიხსენია. მინისტრმა უპასუხა, მაგისთანა ლაპარაკი ცუდად იმოქმედებს ხალხზე, ჯარი კი ამ ხალხში გროვდება და ამიტომ მაგნაირი ურიგო ლაპარაკი ჯარის რიგიან გაწვრთნასაც ხელს შეუშლისო. ჯარი არც ერთს კლასსა და არც ერთს ეროვნებას არ ემტერებაო. დასასრულ მინისტრმა სთქვა, რომ ჯარი უნდა გავამრავლოთო.

✡ ამავე საგნის შესახებ სხვა გაზეთები სწერენ:

„როცა რეიხსრატში ჯარის თაობაზე შედგენილ კანონ-პროექტს არჩევდნენ, ოპოზიციის დეპუტატებმა სამხედრო წესები გაკიცხეს: სამხედრო სასამართლო წესები არ ვარგა, დუელები ძლიერ გახშირდა, ჯარის კაცებს სასტიკად სჯიან და სხვ. სოციალისტების დეპუტატმა დაშინსკიმ პორუჩიკ მატახიჩის საქმე გაიხსენა და სთქვა: მატახიჩის საქმე საჯაროდ რომ გაერჩიათ, მატახიჩს არას დროს არ გაამტყუნებდა სასამართლოო; ყველამ კარგად იცოდა, რომ მატახიჩს კი არა, სხვას ვიღაცას დაეწერა ყალბი ვექსილებიო. (მატახიჩს ჰბრალდებოდა, ვითომ პრინცესა ლუიზას სახელობაზე ყალბი ვექსილი დაეწერაო). დაშინსკის პასუხად მინისტრმა ველსერ ჰეიმბმა გამოაცხადა: რაც კი მაგ საქმეზე დოკუმენტები გვაქვს, სამხედრო სამინისტროს გადავსცემ განსახილველადაო; ადვოკატების საქციელის თაობაზე კიდევ იუსტიციის სამინისტროს მივწერო. ჩეხმა მებატონემ ზაზვორკამ დუელებზე ილაპარაკა და სთქვა: „სიმამ ჯარის უმაღლესი უფროსები ხელს უწყობენ დუელებს, მინამდე ეს სულელური ჩვეულება არ გადავარდებაო“. რეიხსრატის თავმჯდომარემ შენიშნა დეპუტატს, ეგეთი უზრდელი ლაპარაკი იმპერატორის მოსამსახურეებზე არ გეკადრებაო და დეპუტატი გააჩუმა. კომისიის მომხსენებელი დეპუტატი პოპოვსკი დაჰპირდა დეპუტატებს, რომ სამხედრო სასამართლოს რეფორმის პროექტს შემოდგომაზე წარუდგენთ პარლამენტსაო; თანაც ურჩია მთავრობას: ყურადღება მიაქციეთ ხალხის სამართლიან ჩივილსაო. მართლაც და სამხედრო სასამართლო მეტად ცუდადაა მოწყობილი და დისციპლინა ხომ მეტის მეტად სასტიკიაო. თვით მთავრობის მოსარჩლე დეპუტატი გნევოში გამოტყდა, რომ ჯარის კაცებს ნამდვილად უქივრადა სჯიანო. აკი ჯარის კაცთაგანი ბევრიც მოთმინებიდან გამოდის და თავს იკლავსო. ამას გარდა, ორატორმა სთქვა, რომ ჯარი მანიოვრების დროს დიდ ზარალს აძლევს ხალხსაო; როცა ჯარს ზარბაზნებას სროლას ასწავლიან, ნამდვილ ყუმბარებს ხმარობენ და ამიტომ მთელ მაზრებში მისვლა მოსვლა და მოძრაობა ჩერდებაო“.

✡ ტრიესტის გაზეთები სწერენ, რომ არეულობის დროს ტრიესტში 11 კაცი მოჰკლეს და 42 დასჭრესო. მაგრამ იქნება მეტიც იყოს დაჭრილიო, რადგანაც ბევრი დაჭრილი თავის სახლში ირჩენს თავსაო. მოკლულებს თურმე დიდი ნატყვიარი ეტყობოდათ. მანლიხერის თოფის ტყვიას (ავსტრიაში მანლიხერის თოფსა ჰხმარობს ჯარი) ყველას უკლებლივ გაევლო ტანში და შიგნეულობა სულ დაეფლითა. დაჭრილებშიაც ბევრი მეტად ძლიერაა დაშავებული. თითქმის ყველა დაჭრილები და მოკლული სულ მუშები არიან, მომეტებულ ნაწილად ძლიერ ახალგაზრდა ხალხია.

მთავრობასა და დეპუტატებს ამბავი მოუვიდათ ვენაში, რომ ტრიესტში ხალხი ანარქისტებმა აღელესო; სოციალ-დემოკრატებს არაფერი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ საქმეშიო. როგორც იცით, სამედიატორო სასამართლომ მაშინვე ურჩია ლოიდის ამხანაგობას, მუშების ყველა თხოვნა შეასრულეთო. ამხანაგობაც ძალა-უნებურად დასთანხმდა სასამართლოს. სასამართლოს თავმჯდომარედ ტრიესტის ქალაქის თავი ყოფილა. საბჭომაც ცხადი თანაგრძნობა გამოუცხადა დემონსტრატებს და ყველაფერში მუშების მხარე დაიჭირა. რეაქციონერებს ძლიერ უკვირთ, რომ საბჭო ასე რად მოიქცაო. მაგრამ რა არის აქ საკვირველი, ტრიესტის საბჭოში სულ იტალიელები და ურიები სხედანო. უცნაურად მიაჩნიათ ის ამბავიც, რომ ლოიდის ამხანაგობამაც ასე მალე მოიდრიკა ქედი და მუშების მოთხოვნილება შეასრულაო. რეაქციონერებს მით უფრო სწყინდათ ეს ამბები, რომ მათის აზრითაც ტრიესტში არეულობა ანარქისტების ჩაგონებითა და რჩევით მოუხდენია ხალხსა. ტრიესტში 100 კაცი დაატუსაღეს; ბევრს მათგანს ანარქიზმის მოძღვრება ევრცელებინა ხალხში.

✡ „ნ. ფ. პრესე“-ს სწერენ ტრიესტიდან: ოთხი ანარქისტი დაატუსაღეს: ამათში ერთი ინჟენერი ურევია, ერთი ვაჭარი. პოლიციამ კარგად იცოდა, რომ ესენი ანარქიზმის მოძღვრებას ავრცელებდნენ. ამათ გარდა იტალიელი ანარქისტი, აგიტატორი ბრონციც დაატუსაღეს. ბრონცისაც დიდი წილი უდევს ტრიესტის არეულობაში: ესეც ძლიერ სცდილობდა, რომ ხალხი მოემზადებინა აჯანყებლად.

ინგლისი. 5 თებერვალს დეპუტატთა პალატაში თავმჯდომარემ პალატას ერთი ირლანდიელი მოსამართლის წერილი მოახსენა. მოსამართლე სწერს თავმჯდომარეს: ირლანდიელი დეპუტატი გაიდენი ფერმერებს აქეზებდა, მამულის იჯარას ნუ მისცემთ მებატონეებსაო; ამისათვის გაიდენი დავატუსაღებინე და 3 თებერვალს გესტლბარის ციხეში ჩავსვიო. წერილის წაკითხვის შემდეგ ყველა ირლანდიელმა დეპუტატებმა პროტესტის ნიშნად ძლიერ შფოთიანი მანიფესტაცია მოახდინეს. ირლანდიელები ყვიროდნენ: „თითონ მინისტრები უნდა ჩავყაროთ ციხეში! ჩემბერლენ, ციხეში წაბრძანდით! ყველას მოგიხდებათ ციხეში ჯდომა!“.

✡ ამავე დღეს, იორკშირის დეპუტატმა უაიტლმა პალატას ქალების თხოვნა წარუდგინა. თხოვნაზე 33,184 ქალს უწერია ხელი; ეს ქალები სულ სამღებრო ფაბრიკებში მუშაობენ. თხოვნაში სწერია, რომ ქალებსაც საპარლამენტო საარჩევნო უფლება მიეცეთო. ჩეშირის დეპუტატმა ბრომლეი დავენპორტმაც წარადგინა ამნაირი თხოვნა. მეორე თხოვნაზე 4,292 ქალს უწერია ხელი. ეს ქალები კიდევ ჩეშირის საგრაფოს მცხოვრებლები არიან.

✡ დეპუტატთა პალატამ საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი განიხილა და დაადგინა, რომ საშუალო სკოლის რეფორმისათვის 335 ათასი ფრანკი გადიდოსო.

ესპანია. ბარცელონაში გაფიცვაში მომეტებულ ნაწილად ასოთ-ამწყობები, კალატოზები, დურგლები, ფეიქრები, მებულკეები, გრავიორები, ზეინკლები, მაღაზიის და ტრამვაის მოსამსახურეები იღებენ მონაწილეობასა. ბარცელონაში ეხლა ქუჩებში აღარც ტრამვაი მუშაობს, აღარც ფაეტონები. დუქნები, რესტორანები, ბანკები სულ დაიკეტა. ქალები წითელი ბაირაღებით ქუჩა-ქუჩა დადიან და მოვაჭრეებს ძალას ატანებენ, რომ მაღაზიები და დუქნები დაკეტონ. პოლიცია დიდძალ ხალხს ატუსაღებს. მუშებს შეტაკება მოუვიდათ ჟანდარმებთან. გაფიცვის პირველ დღეს ორიდე კაცი სამუშაოდ წასულიყო; გაფიცული მუშები ძალაზე დადგნენ და სამუშაოდ არ გაუშვეს, მაგრამ ჟანდარმები მოვიდნენ და გაფიცულებს ჩხუბი დაუწყეს. მუშებმაც ქვები ესროლეს ჟანდარმებს, ზოგმა იარაღიც იხმარა. ჯარმა თოფი ესროლა ხალხსა: 8 კაცი მოკლა და ბევრი დასჭრა.

„ჰავასის სააგენტოს“ სწერენ: როცა დატუსაღებულ მუშებს ეტლით ქუჩაში გაატარებდნენ ხოლმე, დანარჩენი მუშები ცდილობდნენ თავიანთი ამხანაგები გაეთავისუფლებინათ. ერთმა ახალგაზრდა კაცმა ჟანდარმებს ექვსჯერ ესროლა რევოლვერი. ეს ჟანდარმები დატუსაღებულებს მისდევდნენ. ერთი ჟანდარმი მიუბრუნდა ახალგაზრდა კაცს, რევოლვერი დასცა და იქვე მოჰკლა.

ახალი ამბავი

◆ ლოთობის საწინააღმდეგო საზოგადოების გამოწვევის თანხმად, სხვა-და-სხვა პირთ **წარმოადგინეს 32 პროექტი და გეგმა** სახალხო თეატრისა, რომელიც უნდა აშენდეს განსვენებულის კ. ზუბალაშვილის სახელობაზე.

◆ კავკასიის მებაღეთა საზოგადოება სთხოვს კავკასიის მთავარ-მართებელს ნება დართოს ხსენებულს საზოგადოებას გამართოს სადგომში, (გორის მაზრა) ქ. თელავში, ზაქათალაში, დაბა ონში (რაჭის მაზრა), ლენქორანში, კიზლიარში და ეკატერინოდარში **მემამულეთა კრებები**, რომელზედაც განხილული იქნება ვენახებისა და ბაღების სეტყვისაგან დაზღვევის საქმე.

◆ დანიის ელჩმა როსტოვში ოფიციალურად აცნობა ტფილისში ბ. კ. კრაუზეს, რომ დანიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრადა აქვს **გამართოს სამეცნიერო მოგზაურობა** რეველიდან, რათა გაეცნოს რუსეთის მეურნეთ რაციონალური მეურნეობის წესები, მეტადრე სარძეოსი, და მიანდო პროფესორს კულიშოვს მოსკოვში და ბ. ფრიზს კოპენჰაგენში, მიიწვიონ ამ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღების მსურველნი. რადგანაც სასურველია, ამ მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღონ მემამულეთ და სარძეო მრეწველობის მეურნეთ, ამის გამო ბ. კრაუზემ აცნობა ეს ამბავი და დახმარება სთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას; მსურველთ შეუძლიანთ დაწვრილებით ცნობებისთვის მიჰმართონ ბ. კრაუზეს. (მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 79).

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გადასდო მიმდინარე წლისათვის განსაკუთრებული თანხა, რათა გაამრავლოს დასავლეთ საქართველოში **ჩაის ხის საცდელი მინდვრები**. ამ ჟამად სამინისტროს აქვს გამართული 18 საცდელი მინდორი: 12 გურიაში და 6 სამეგრელოში და ჰსურს სცადოს ჩაის ხის გაშენების საქმე სოხუმის ოლქში.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ სევასტოპოლიდან, რომ მელიტოპოლში დაატუსაღეს რამდენიმე კაცი, რომელნიც აპირებდნენ **ტფილისის საქალაქო ბანკიდან** ამას წინად მოპარულის ობლიგაციების გასაღებასათ.

◆ 29 წარსულ იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა **სომხურ დრამატიულ საზოგადოების წესდება**.

◆ გუშინ ტფილისიდან პეტერბურგს წავიდა სამსახურის საქმეების გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი ბ. **ვერხოვსკოი**.

◆ **ტფ. ტეხნიკოსთა** ახლად დაარსებულ საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის სახელმძღვანელოდ განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე საბოლოვოდ შეიმუშავა ინსტრუქცია, რომელიც განსახილველად წარედგინება საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას 21 თებერვალს.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭო დღევანდელს სხდომაზე განიხილავს ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ რათა გავრცელდეს **მუღანის მინდვრებში ბამბის მოყვანა**, მეტადრე ახალ გადმოსახლებულ რუსთა შორის, მიწად-მოქმედების სამინისტრომ გარდასწყვიტა, დაურიგონ ამერიკული ბამბის თესლი და ყურადღება მიაქციონ, რომ ეს თესლეულობა კერძო პირებს არ ჩაუვარდეთ ხელში და მიეცეთ მხოლოდ გადმოსახლებულებს და საზოგადოდ გლეხ-კაცებს.

◆ გუბერნიის სამმართველოს სამკურნალო განყოფილებამ მისწერა მაზრის ექიმს, დაწვრილებითი ცნობები გამოგზავნეთ იმის შესახებ, თუ სად უფრო გავრცელებული **თვალის ავადმყოფობაო**.

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა საყასბოების ბეითლებს, როდესაც დაკლული საქონლის ცნობებს ადგენენ, მხედველობაში იქონიონ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებანი და სიებში აღნიშნონ, **საიდან არის მორეკილი** საკლავი საქონელი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა თხოვნით მიმართა საექიმო გამგეობას, რომ საქალაქო ექიმებმა, პოლიციის მოხელეებთან ერთად, დაათვალიერონ სანიტარული მდგომარეობა **ქალაქის სადალაქოებისა და საპარიკმახეროებისა**.

◆ ტფ. საბებიო ინსტიტუტის გასულ წლის ანგარიშიდან მოგვყავს შემდეგი ცნობები: გასულ წელს საბებიო განყოფილებაში მიუღიათ 1721 ავადმყოფი; მათ შორის 11 გარდაცვალა; წლის განმავლობაში სულ დაიბადა 1616 ბავშვი. გინეკოლოგიურს განყოფილებაში მთელის წლის განმავლობაში ყოფილა 188 ავადმყოფი, მათგან მომკვდარა 2; ოპერაცია გაუკეთებიათ—329. ამბულატორიაში მთელის წლის განმავლობაში მოსულა 1389 ავადმყოფი დედაკაცი და ბავშვი—377. სკოლის განყოფილება ყოფილა: სამი მასწავლებელი და 122 მოსწავლე ქალი. წარსულ წელს ინსტიტუტი დაუსრულებია 39 საქალაქო ბებიასა და 41—სასოფლოს. წლის განმავლობაში ინსტიტუტის გასავალი ყოფილა: 13642 მ. 74 კ. ინსტიტუტის ექიმების ჯილდო, 3000 მ, ბებიებისა და სხვა ხარჯი 20000 მან.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება მომავალ მარტის 4-ს განიხილავს ქ. გორში შემდეგ საქმეებს. იოსებ დოგუზაშვილისა, რომელსაც ციმბირიდან გამოქცევა ჰბრალდება; ივანე ფანიაშვილისა, რომელსაც ქურდობა ბრალდება; გაბრიელ ალაბეგოვისას, რომელსაც შეურაცხყოფის მიყენება ბრალდება და გიორგი მახპარუნოვისას, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-996 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება. 5 მარტს: გიორგი ბედოშვილის, ზაქარია გელაშვილის და დიმიტრი გაბარაშვილისას, რომელთაც მკვლელობა ბრალდებათ. 7 მარტს: პლატონ ხუციშვილისა, რომელსაც ავაზაკობა ბრალდება; ზაქარია ყანჩელისა ცრუ-მოწმობა ბრალდება; მარიამ დიდებულიძისა—ქურდობის ჩადენა ბრალდება და ვასილ ნურალოვისა, რომელსაც შეურაცხების მიყენება ბრალდება. 8 მარტს: დიმიტრი კოკოშვილისა და სხვ. რომელთაც კაცის მოკვლა ედებათ ბრალად, საბა ხარებაშვილისა, რომელსაც თავ. მაჩაბლის ტყის გაჩეხა ბრალდება და ტურა ვალეშვილისა და სხვ. რომელთაც ბრალდებათ წინააღმდეგობის აღმოჩენა მოხელე პირთათვის. 11 მარტს: კონსტანტინე ციციშვილისა, რომელსაც სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა ბრალდება, და არჩილ ქურდოვანიძისა, მოხელეთა შეურაცხების მიყენება და წინააღმდეგობის აღმოჩენა ბრალდება. 12 მარტს: ალექსი ტურაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება, ისაკ ამირანაშვილისა კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება და ალექსანდრე ციციშვილისა, რომელსაც მოხელეთათვის სამსახურის დროს წინააღმდეგობის გაწევა ბრალდება.

◆ გუშინ, 14 თებერვალს, ტფილისის საქალაქო სასაკლაოზე ყასბებმა მოკლეს 99 სხვილფეხი და 100 წვრილ-ფეხი საკლავი საქონელი. ამ დღეს დაიკლა 188 მსხვილ-ფეხი და 355 წვრილ-ფეხი პირუტყვი. როგორც გავიგეთ, ალექსანდროპოლის მაზრიდან ნავთლუღის რკინის-გზის სადგურზე 200-მდე საკლავი საქონელი მორეკიათ; ასე რომ შესაძლებელია ეს კრიზისი მალე დასრულდეს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში გუშინ იპოვეს უსულო გვამი სულით ავადმყოფი ქსიფელინოსი; იქვე ახლოს ეგდო მისი რევოლვერი.

◆ პოლიციის მე-1 ნაწილის ბოქაული სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას, დანიშნოს ტეხნიკოსი ნაძალადევში ლოლობერიძისა და პროზოროვის სახლების დასათვალიერებლად; ეს სახლები დაძველებულიაო, სწერს ბოქაული, და მდგმურთათვის საშიშიაო.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს სიონისა და ირაკლის ქუჩების მოსაკირწყლავად, რადგანაც ამჟამად ეს ქუჩები მეტად დაღორო-ჩოღროვებულიაო.

◆ მიხაილოვიდან გვატყობინებენ, რომ 12 თებერვალს 179 ვერსის დასაწყისზე იპოვეს ფერდობზე დაგორებული ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი ანდრია ვასილიევი, რომელიც №-242 მატარებლებიდან გადავარდნილა. ვასილიევს დაცემის დროს გაუტეხია თავი და ხელი მოუტეხია. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 14 თებერვალს.

სამხედრო სასამართლომ დამნაშავედ იცნა დუდუჩავა, ლორთქიფანიძე, აგიაშვილი, ლალიაშვილი და სახურია და გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა (ჩამოხჩობა), ხოლო კნ. რუსკანა წულუკიძისა, ილია წულუკიძე და ვალერიან წულუკიძე გაამართლა.

შემახის ამბავი

—

გაზეთ „კასპის“ კორესპონდენტი იწერება: „ორი დღეა, თოვლი მოდის, რის გამოც ქუჩებში გაუვალი ტალახია. შიში აქვთ, რამე ჭირი არ გაჩნდეს, ამიტომ ადმინისტრაციასა სურს რვა-ათ დღეში შემახის ქვემო ნაწილის მცხოვრებნი გადაიყვანოს საზოგადო კარვებსა და ბარაკებში.

საზოგადოდ ხალხი თან-და-თან შეეჩვია თავის უბედურებას, აშენებენ ქოხებს, ფარდულს, იწყობენ ნანგრევებიდან ამოთხრილის საქონლით ვაჭრობას, ჰკლავენ ცხვრებს და ბაზარში ჰყიდიან. ცოტ-ცოტა სიცხოველე და გამოცოცხლება დაეტყო ქუჩებს და ეზოებს. ბევრმა ბაზარშიაც დაიწყო ვაჭრობა თავიანთ დუქნებში, თუმცა ამ დუქნების და მაღაზიების ჭერი და კედლები ფამფალობენ და ერთი შებერვის მეტი არა უნდათ-რა, მაგრამ რა ჰქნან, როდესაც შიმშილით დაიხოცება მთელი ხალხი, ასე რომ არ ჩაიდინონ! ამას ვერც მთავრობა ადევნებს ყურადღებას, რომელსაც აუარებელი საჩქარო საქმე აქვს; ჩვენ მხოლოდ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უბედურება აღარ განმეორდება.

დღეს დილით, 8 თებერვალს, ნანგრევებიდან ამოთხარეს სონა აშრაფ კიზი, რომელიც ქმარმა იცნო. საზარელი სანახავი იყო საბრალო: გვამი გალურჯებულიყო და ტალახისაგან გაშავებულიყო. როგორც ეტყობოდა, მიწაზე დაცემულა პირქვე, ეტყობოდა, ფეხები ქვებს გაესრისათ; მხოლოდ არც ტანი, არც ხელები, არც სახე დაშავებული არა ჰქონდა. ხელები მაღლა ჰქონდა თავზე აწეული და თითები სიმწარით ერთმანეთში გადახლართული და დაკრუნჩხული! სისხლი გეყინება, გონება გიჩლუნგდება, როდესაც დაფიქრდები, როგორი სუსტი და ძალ-მიხდილია ადამიანი ბუნებასთან საბრძოლველად! ჰიაა!..

უბრალოდ რომ ვიანგარიშოთ და სულ მცირე ფასი დავსდოთ შემახის შენობებს, სახლის პატრონთა ზარალი უდრის ათ მილიონს; ჩვენ აქ არა ვსთვლით მართლ-მადიდებელთა და სომხების ეკკლესიებს, მეჩეთებს, სახზინო შენობას, საპატიმროს და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შენობებს. და თუ ხალხის დაღუპ-ულ ქონებასაც ვიანგარიშებთ, ეს რამდენიმე ათ მილიონს შეადგენს.

შესაზარ შთაბეჭდილებას ახდენს დანგრეული მეჩეთები და ეკლესიები. ჯუმა-მეჩეთი, მშვენება და სიამაყე შირვანისა, რომელიც რვა ასი წელიწადი არსებობდა, რომელიც მრავალ მიწის ძვრას მოსწრებია, ქარიშხლებს და სტიქიონის ათას გვარ სიმძლავრეს და წარბი არასოდეს არ შეუხრია, დღეს ეს უძველესი მოწამე შემახიის ბედისა და უბედობისა ჩამოწვა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით. არა ნაკლებ საზარელ სურათს წარმოადგენს წმ. ნიკოლოოზის ეკლესია, რომელიც არსებობს 50 წელი. გუმბათი და ჯვარი სამხრეთ აღმოსავლეთისკენ, შიგნით თაღები ჩამოწვა; კედლები თუმცა მაგრად სდგას, მაგრამ დასკდა. 7 თებერვალს სობოროდან გამოზიდეს, რაც კი გადარჩა საეკლესიო სამკაული, კანკელი, ტრაპეზი, ხატები, აღსავლის კარები, ცოტათი დაზიანებული. არის ძვირფასი ხატები ბრიულოვის ხელოვნებისა, რომელიც იმპერატორ ნიკოლოოზ პირველს შეუწირავს. სომხების ეკლესია შორიდან დაუზიანებელსა ჰგავს, მაგრამ შიგნით სულ დანგრეულია.

ექიმები და მოწყალების დანი ცხოვრობენ სამხედრო საკრებულოს შენობაში. მოწყალების დათ თავის ოთახში უწევთ ერთი მშობიარე სომხის ქალი, რომელიც ნანგრევებიდან ამოიყვანეს და შვილი ეყოლა. მოწყალების დანი დიდის სიფაქიზით უვლიან მშობიარეს; ქალი რჩება, მალე სულ კარგად გახდება.

შემახიელების დამახასიათებელი ერთი ამბავი უნდა მოგახსენოთ, თუ როგორ აფასებენ ისინი ადამიანის სიცოცხლეს. უბედურების პირველს და მეორე დღეს ძალიან ბევრი ცოცხალი ადამიანი ამოთხარეს ნანგრევებიდან. მაშინ მაშველი უცხო ხალხი არ იყო და დაღუპულთა ნათესავები თითონ ქირაობდნენ ნანგრევების გამთხრელთ. ამისათვის გადაწყვეტილი ფასიც დაადგინეს: კაცის ამომთხრელთ ნათესავები აძლევდნენ 20—25 მანეთს, თუნდა ეს ამოთხრილი პატარა ბიჭიც ყოფილიყო 2—3 წლისა; ხოლო დედაკაცების ამოთხრისთვის აძლევდნენ 1—2 მანეთს და ბოლოს უფრო ნაკლებს. უეჭველია, რომ ამის გამო კაცები ბევრად მეტი გადაარჩინეს, ვიდრე ქალები. სანანური და სატირელია ხალხის ასეთი ველურობა.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, როგორის მადლობით ეკიდებიან დაზარალებულნი კომიტეტის ექიმებს და სხვა წევრებს. ავადმყოფნი განცვიფრებაში მოდიან, რომ ექიმებს და მოწყალების დებს არ ეზიზღებათ ისინი, ავადმყოფები, არ თაკილობენ და გულმხურვალედ უვლიან. ღარიბი და საწყლები, სადაც კი შეხვდებიან ქუჩაში კომიტეტის წევრებს, ეხვევიან, თავს ევლებიან, ხელ-ფეხს და ტანისამოსს უკოცნიან“.

—

12 თებერვლის „კასპის“ დეპეშა შემახიიდან.

„დღეს მთავარ-მართებელმა დაათვალიერა ქალაქი და უკან დაბრუნდა. სამაზრო კომიტეტმა გადასწყვიტა ხორაგის მაგივრად ფული დაურიგონ გაჭირვებულებს. ბაქოს გუბერნატორმა გენერალმა ოდინცოვმა გადასცა კომიტეტს 9,000 მან, რომელიც იმის განკარგულებაში იყო.“

შემახიიდან სწერენ გაზეთ „კასპს“: საქველ-მოქმედო კომიტეტი ყოველ დღე ჩაი-შაქარს ურიგებს საწყლებს; აგრეთვე ეხმარება იმათ, ვინც შემახიიდან მიდის. ბაქოს გუბერნატორის ბძანებით ახალი ნიხრი დააწესეს ურმებზე და ფაიტონებზე. შემახიიდან ბაქომდე ფაიტონი ღირს 25 მან., ქურდამირამდე—20 მან., აქამდის კი იღებდნენ 60—70 მანეთს.

ამ ბოლო დროს აქ ბევრს ლაპარაკობენ, რომ შემახია სამუდამოდ გააუქმონ და მცხოვრებლები სხვაგან სადმე გადაასახლონ. მაგრამ შემახელებს ამის გაგონებაც არ უნდათ; მარტო ის ფიქრი, რომ სამშობლო ქალაქი უნდა მიატოვონ, თავ-ზარსა სცემს შემახელებს. ისინი იმითი ინუგეშებენ თავს, რომ შემახას ბევრი ამისთანა საზარელი დღე უნახავს და ამასაც გაუძლებს, მოინელებსო; გარდა ამისა, ბევრმა არ იცის—სად წავიდეს: აქედან ბევრი სავაჭრო და საალებ-მიცემო საქმეები აქვთ, საკუთარი მამული აქვთ, ვის დაუტოვონ ყველა ეს და სად წავიდნენ ცარიელის ხელით?! როგორც გნებავთ გაჩხრიკეთ ეს საქმე, შემახელებს მაინც სხვის დახმარება სჭირიათ და თითონ ვერაფერს გახდებიან, აქ იქნებიან თუ იქ. რომელიც ამათში მდიდრები იყვნენ, დღეს იმათ უბ-

რალო თიხის ხუხულების აშენებაც კი არ შეუძლიანთ. უეჭველია, მცხოვრებლების უმეტესობა აქეთ-იქით გაიფანტება და ქალაქი თავის-თავად სოფლად გადაიქცევა.

წინანდელთან შედარებით როგორი სიძვირე ჩამოვარდა, შემდეგიდანა სჩანს: ერთი პური (ნახევარ გირვანქაა) 5 კაპ., ხორცი გირ. 15 კაპ., შაქარი—20 კ., ვედრო წყალი—5 კ., ერბო—60 კ., ყველი—20 კ., ხახვი—5 კ.; მუშა დღეში ღირს—1 მ. და 50 კ. წინად ყველა ეს, შაქრის გარდა, მესამედ ფასად იყო.

შემახაში 17 აბანოდან არც ერთი არ გადარჩენილა.

ჩვენ გვატყობინებენ ქურდამირიდან, რომ 13 თებერვალს ტუსაღების ვაგონში მოკვდა შემახის საპატიმროდან ბაქოში გაგზავნილი ტუსაღი მაშადი ჰუსეინ-მაგერამ-ოღლი, 40 წლისა.

რუსეთის ქრონიკა

∝ საერო განათლების სამინისტროს გარდაუწყვეტია, მომავალ სამოსწავლო წლიდან დააარსოს რამდენიმე მოძრავი სკოლა იმ რაიონებში, სადაც პირველ დაწყებითი სკოლები ცოტაა და ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

∝ მოხდა პირველი სხდომა იმ საგანგებო კომისიისა, რომელმაც, უმაღლესის ბრძანებით, უნდა განიხილოს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი. სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ფინანსთა მინისტრი ვიტტე, არჩეულ იქმნა კომიტეტი და მიენდო მას კომისიის მოქმედების პროგრამის შემუშავება. საგანგებო კომისიის მოღვაწეობა შესწყდება, სანამ არჩეული კომიტეტი ხსენებულს პროგრამას არ შეიმუშავებს.

∝ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს მოუმატოს გადასახადი საზღვარ-გარეთ წასასვლელ პასპორტებს.

∝ გზათა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით, ახლად გასაკეთებელ რკინის გზებისათვის უნდა გადიდეს 420 მილიონი მანათი.

∝ ტ. ი. ფილიპოვის დროს სახელმწიფო კონტროლის უწყებაში სამსახურში იღებდნენ ყველა წოდების პირთ, მათ შორის არა რუსთაც, რომელთაც ნება არა ჰქონდათ სახელმწიფო სამსახურში შესვლისა როგორც შთამომავლობით, ისე განათლებით. ხშირად ამგვარ პირებს ეძლეოდათ ხოლმე თვალსაჩინო თანამდებობა, რაც პირდაპირ საზარალო იყო იმ პირთათვის, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში დამსახურებულნი იყვნენ. აგრეთვე პატარა თანამდებობიდან დიდ თანამდებობაზე გადაყვანის დროსაც არ აქცევდნენ ყურადღებას უმცროს-უფროსობას. ამ ჟამად ახლანდელმა სახელმწიფო კონტროლიორმა, გენერალმა ლობკომ საჭიროდ სცნო ხსენებულ მოხელეთა სამსახურში მიღება შეზღუდოს და, როგორც სხვა სამინისტროებშია, მიანიჭოს მათ მხოლოდ გადამწერლების თანამდებობა. ამასთანავე წინადადება მისცა, სამსახურში მიღების დროს უპირატესობა მიენიჭოს რუს ყმაწვილ კაცებს, რომელთაც სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნება აქვთ, თანახმად სამოქალაქო სამსახურის კანონმდებლობისა („მ. ვ.“).

პრესსა

გაზეთი „ნიჟეგორ. ლისტოკი“ სწერს საფოსტო უწყების მოხელეთა დიდად გაჭირვებულ და საცოდავ მდგომარეობაზე, თუმცა ეს უწყება ხაზინას წელიწადში 12 მილიონ მანეთს აძლევს.

> დღესასწაულები რომ დადგება ხოლმე და ყველას მოსვენება უნდა, ფოსტის მოხელენი იძულებულნი არიან უფრო მეტი იმუშაონ.
>
> დადგება ზამთარი და ყინვა და წერილების დამტარებლებს შეუძლიანთ მხოლოდ ოცნება, კარგი იქმნება, რომ თბილი ქურქი მქონდესო.
>
> ნუ თუ ცხადი არ არის, რომ იმ 12 მილიონ მანეთის მოგებიდან ცოტა რამ უნდა უწყალობონ იმ ღარიბსა და საცოდავ მოხელეს, რომ უდროვოდ სიცოცხლეს არ გამოესალმნენ.
>
> მოხელეთა რიცხვი მეტად მცირეა. ჯამაგირიც მეტად მცირე.
>
> განა ყოველ-გვარი საშუალებაა საკადრისი იმისათვის, რომ მეტი მოგება იყოს.
>
> 12 მილიონ მანათის გარდა სახელმწიფოს კიდევ დიდი სარგებლობა აქვს ფოსტისაგან. კანცელარიების მიწერ-მოწერა ხომ მუქთად იგზავნება და იმის გაგზავნ-გამოგზავნა ძლიერ დიდ ფულად უნდა ღირდეს.
>
> მაშ, რაღა საჭიროა ამ სარგებლობის გარდა იმის ფიქრი და ზრუნვა, რომ კიდევ დიდი ფული მოვიგოთო.
>
> ხომ კერძო კაცისათვის არ არის საკადრისი ისე მცირე ფული აძლიოს თავის მოსამსახურეს, რომ საცოდავს ზამთარში თბილი ტანთ-საცმელი არა ჰქონდეს.
>
> დადიან ფოსტის საცოდავი მოხელენი, დიდის ჯაფით დაქანცულნი სიცივეში შეუფერებელ ტანისამოსით და იხოცებიან ფილტვის ავადმყოფობით.

⁂

ჩვენ ამას წინად ვწერდით, რომ უმაღლესად დანიშნულს საგანგებო კომისიას, რომელსაც დაევალა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის გაჭირვებათა გამოკვლევა, ძალიან გაუჭირდება საქმე, რადგან ხსენებული მრეწველობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არის და მისი გამოკვლევა-გაუმჯობესება მეტად რთული საგანია. ამ კომისიის შესახებ ამასვე ამბობს გაზეთი „კიევლიანინ“.

> ყოვლად შეუძლებელია ვიღონოთ ისეთი რამ განსაკუთრებული აგრონომიული ან ეკონომიური ღონისძიება, რომელსაც შეეძლოს რადიკალური დახმარება აღმოუჩინოს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობას. მხოლოდ ცხოვრების ყოველმხრივ გაუმჯობესობას და ეკონომიურ, ტეხნიკურ, იურიდიულ და საზოგადო კულტურულ ღონისძიებათა შეერთებას შეეძლება უშველოს რამე გაჭირვებულ მრეწველობას. აქედან ცხადათ სჩანს, რომ სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა ვრცელი და რთული პროგრამა და არა ესა თუ ის პალიატივი.

არსებობს თუ არა ასეთი პროგრამა? ამ საკითხზე გაზეთი უნუგეშო პასუხს იძლევა:

> ამ ჟამად ასეთი პროგრამა არ არსებობს და შესაძლებელიც არ არის არსებობდეს. ახლა მხედველობაში აქვთ არა რთული საერთო საზოგადოებრივი რეფორმა, არამედ სხვა და სხვა, ერთმანეთისაგან განცალკავებული, მარტივი ღონისძიებანი. ამ გზით ფონს ვერ გავალთ, რასაკვირველია, და საგანგებო კომისიის მუშაობა პალიატიურ საშუალებათა აღნიშვნით გათავდება“

სრულიად უმნიშვნელოდ რომ არ ჩაიაროს კომისიის მოღვაწეობამაო, დასძენს დასასრულ გაზეთი, საჭიროა კომისიამ საზოგადოების, პროვინციის წარმომადგენელნი გაირიოს და მათის დახმარებით გამოარკვიოს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის აწინდელი მდგომარეობაო... როგორც წინადაც გვქონდა აღნიშნული, ამ მხრით „ნოვ. ვრემია“ უფრო ხელსაყრელ რჩევას იძლევა: კომისიის მოღვაწეობა ფარულად ნუ სწარმოებსო, არამედ პრესსის შემწეობით საზოგადოება დააინტერესონ ამ საქმითაო.

დაბა-სოფლები

სოფ. ქოლობანი (ქუთ. მაზრა). ჩვენმა სოფელმაც გადასწყვიტა გამოფხიზლდეს სადამოს ძილისაგან და რაიმე საზოგადო-სასარგებლო საქმეს მოჰკიდოს ხელი. წახალისებული ქვემო იმერეთის ზოგიერთ სოფლის მაგალითით, რომელთაც თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანეს შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათ, ქოლობანიც აპირებს ამ გვარისავე დაწესებულების მოწყობას. სოფლელთა შორის მოლაპარაკება და შეთანხმება უკვე მოხდა და საქმის განხორციელებისათვისაც მუშაობა დაიწყო. წევრთა რიცხვი ჯერ-ჯერობითაც საკმაო სდგება. ამხანაგობის დაარსების თაოსნობა ეკუთვნის ს. ქვიტირის აფთიაქის პატრონს ბ. ლავრ. მიქაძეს, რომელიც ამ საქმეში უკვე გამოცდილია და რომელსაც ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობიან სასარგებლო მოღვაწეობის გამო.

ვისურვოთ, რომ ქოლობანელთა კარგად გამოწყობილი კეთილი საქმე კეთილად განხორციელდეს.

—

ს. ივანდიდი (ქუთ. მაზრა). უბედურება ეწვია ჩვენს სოფელს. 12 თებერვალს, დილის ათ საათზედ, როდესაც ძლიერი ზენაქარი ჰქროდა, სოფელში ცეცხლი გაჩნდა. შეუბრალებელმა სტიქიონმა სრულიად გააუბედურა ოთხი მოსახლე კაცი. პირველად ცეცხლი გაუჩნდა ივანდიდის გლეხის ჯიქიას სახლს; მისგან მეზობლებსაც ესტუმრა; ცეცხლის გაჩენის მიზეზი, როგორც გადმოგვცეს, ბავშვების ცელქობა იყო. დანარჩენ მეზობლების საბედნიეროდ, ხონის ეკლესიების ზარებმა ხონელებს აცნობეს მეზობელ სოფლის უბედურება და იქიდან დაუყოვნებლივ მოეშველნენ და გაჭირვებისაგან იხსნეს მთელი სოფელი. იმედია, გადარჩენილი სოფლელები მაინც დაეხმარებიან გადამწვართ.

—

ს. ალვანი (თიანეთ. მაზრა). თუშების სამოსახლო სოფელი ალვანი, რომელიც ძველად დარაჯათ იყო მთიულთა შემოსევის საწინააღმდეგოდ, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია. საქმე ის არის, რომ ფრიად ცუდის ჰავისა გამო, აქ დიდიხანია სხვა-და-სხვა სენმა ბუდე გაიკეთა და აღარ გვშორდება. ლამის ხალხი სრულიად ამოწყდეს, შველა-კი არსაიდანა სჩანს.

კვირა როგორ გაივლის ისე, რომ სამი-ოთხი მიცვალებული მაინც არ გასვენონ; ზამთარი ისე როგორ გაივლის, რომ თავის მოსაგონებლად რაიმე ავადმყოფობა არ გვიწყალობოს და ოცდაათი—ორმოცი კაცი არ იმსხვერპლოს.

შარშან ინფლუენცამ წაიღო ილაჯი: სოფლის მცხოვრებთა თითქმის მეექვსედი ინაცვალა; არ დაზოგა არც ხნიერი, არც ყმაწვილი. მაგრამ წლევანდელმა უარესი დაგვმართა: უხვად მოგვივლინა ფილტვების ანთება, მწვავე ხუნაგი, ყელის სხვა-და-სხვა ტკივილი და სიკვდილის ლეგიონის სხვა შიკრიკები. ისეთი ოჯახი არ მოიპოვება სოფელში, რომ ან არავინ მოჰკვდომოდეს, ან ავად არ ჰყოლოდეს ვინმე და ან ავად არ იყოს. ორ დღეში ერთხელ მაინც დაინახავს კაცი თუშის მანდილოსნებს, რომლებიც გულხელ დაკრეფილნი მიდიან გუნდ-გუნდათ მიცვალებულის ჭირის-უფალთან სამძიმრის სათქმელად. ექიმი ცხოვრობს ახმეტაში, მაგრამ მისი აქ მოწვევა ძნელია და ამგვარად ვართ უპატრონოდ და სიკვდილის კერძად დარჩენილნი; გულშემატკივარი, დამრიგებელი და მხსნელი ჩვენ არვინ გამოგვიჩნდა.

წერილები აფხაზეთიდან

I.

იყო დრო, როცა აფხაზეთისათვის მართლა შეგვეძლო აფხაზეთი გვეწოდა, რადგანაც ეს კუთხე კავკასიისა ქალაქ სოჩიდან (აფ. შვაჩა) დამოკიდებული მდინარე ოხურეიამდის და აქა-იქ სამურზაყანოშიაც აფხაზებით იყო დასახლებული, და ეს უცხოდ უხვ ბუნებისაგან შემკული შავის ზღვის პირი ეკუთვნოდა აფხაზთა და შეადგენდა საქართველოს საერისთავოს. დღეს კი ეს მხარე მარტო ოდენ სახელითაა „აფხაზეთი“ და არა მცხოვრებლებით: ვის არ გადაეყრებით აქა? რა მილეთის ხალხსა? როგორც მკითხველსაც მოეხსენება, უმეტესი ნაწილი აფხაზებისა, ამ ხალხოსნობის „ნამდვილი მარილი“, სხვა-და-სხვა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო იძულებულ იქმნა ერთ-მორწმუნე სათათრეში გადასახლებულიყო მესამოცე წლებში,—მე ვამბობ დალ-წებელელების შესახებ. უკანასკნელ რუს-ოსმალოს კამპანიის დროს ამათ ზედ დაერთო ის აფხაზნიც, რომელნიც სახლობდნენ ზღვის პირად მდინარე ააცსა და თოუმუშ შუა, და აგრეთვე ბევრი აფხაზნიც დასავლეთ აფხაზეთიდან. უმეტესი ნაწილი გადასახლებულ აფხაზებისა სათათრეში გაწყდა, ცოტა-ოდენი უკან დაბრუნდა, დანარჩენნი თათრებმა აქეთ-იქით გაჰფანტეს, რის გამოც დღეს თუ არა ხვალ თავისს ეროვნულ ელფერს დაჰკარგავენ და თათართა მიერ შთაინთქებიან!

ამ უნებლიეთი გადასახლებით შუაგული აფხაზეთისა მდინარე ააციდან კოდორამდის დაცარიელდა, გავერანდა. სათათრეთიდან უკან დაბრუნებულთ აქ დასახლების ნება არ მისცეს და გაანაწილეს დასავლეთ და აღმოსავლეთ აფხაზეთში, და აფხაზთა სისხლით მორწყულსა და მათი ძვლებით გაპოხიერებულს მხარეს მოაწყდა სხვა-და-სხვა რჯულის და ენის ხალხი: ბერძენი, ბოლგარი, სომეხი, ესტები, მოლდავანი და აქა-იქ მეგრელებიც. შუა გული აფხაზეთისა ამ კოლონისტებმა დაიჭირეს, რითაც დღევანდელი აფხაზები გაიყო ორ ნაწილად: დასავლეთისა—მდინარე ააცსა და გაგრას შუა და აღმოსავლეთისა—მდ. კოდორსა და ოხურეის შუა. დასავლეთ ნაწილს უწოდებენ „ბზიფს“ (გუდაუთის ნაწილი), აღმოსავლეთისას—„აბჟუა“-ს (კოდორის ნაწილი).

რაც შეეხება საკუთრივ სამურზაყანოს, რაც უნდა ყოფილიყო ამ მხარის ისტორიული თავგადასავალი, დღეს მაიც ნამდვილ მეგრელებითაა დასახლებული, მეგრელთა ქვეყანაა. ჩემის ღრმა რწმენით კი სამურზაყანოში მხოლოდ უმაღლესი წოდება, თავად-აზნაურობა იყო აფხაზები, ხოლო გლეხობა იმ თავიდანვე მეგრელები იყვნენ, თუმცა აქა-იქ აფხაზებიც ერივნენ, როგორც აფხაზეთში—მეგრელებიცა. მაგრამ [illegible] დისმე სხვა დროს იყოს.

ეხლა დღის ვარამზე გადავიდეთ. მკითხველს ეცოდინება, რომ აფხაზეთში საზოგადო მიწის მფლობელობაა (Общинное землевладѣніе). აქ მხოლოდ თავად-აზნაურთ მიეზომათ „ხარისხისამებრ მისისა“ მიწის ნაჭრები, ეგრედ წოდებული „ნადელები“, და მასთან საზოგადო მიწა-მამულშიაც თავისი წილი უდევსთ: შვიდ-შვიდი დესეტინა „სამოსახლოდ“ ან და დღეს მას რამდენიც უჭირავს „ეზოში“. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ძალიან მცირე “ნადელები“ მიეზომათ: მხოლოდ მთავრის ჩამომავალთ—4—5 ათას დესეტინამდის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ნება-უნებლიეთ მოუხდათ უკანასკნელ ომიანობის დროს სათათრეთში გადასახლება და ზავის ჩამოგდების შემდეგ უკან დაბრუნდნენ, „ნადელები“ სრულებით არ მიეზომათ, მხოლოდ ამ „მოხაჯირ“ თავად-აზნაურთაგანთ ნება დართეს მიეწერონ გლეხთა საზოგადოებათ და მათსავით ისარგებლონ საზოგადო მიწა-მამულითა. აი „მოხაჯირ“ თავად-აზნაურთ 1888 წ. ფსირცხაში (ახალი ათონი) უმდაბლესი თხოვნა მიართვეს იმპერატორს ალექსანდრე III-ს. გვირგვინოსანმა კეთილი ინება და მიიღო მათი თხოვნა, რის გამოც, ვისიც ჯერ იყო, ებრძანა მიეცათ „მოხაჯირ“ თავად-აზნაურთათვის ნადელები. მაგრამ ჯერ ეს ბრძანება სისრულეში არ არის მოყვანილი.

უკანასკნელ წლებში მთავრობამ და რუსეთის საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქციეს საზოგადოდ შავი-ზღვის პირს მდებარე ადგილებს და კერძოდ აფხაზეთს. ამ ტურფა მხარემ სწორედ მოჰხიბლა რუსეთის უმაღლესი საზოგადოება, რომელიც მოაწყდა მას, უფრო კი გუდაუთისა და გუმისთის ნაწილებს. ამ ორს ნაწილში თითქმის ყველა საუკეთესო აფხაზთა მამულები (თავად-აზნაურებისა) ჩრდილოელთა ხელში გადავიდა. ეხლა ქალაქ სოხუმიდან დაწყებული მდინარე გაგრამდის საუკეთესო, ზღვის პირად მდებარე მამულები თავად-აზნაურთა უჭირავს რუსებს. მიწის ფასმაც, შედარებით, ძალიან აიწია: ათის წლის წინად 20--25 მანეთს ზევით არ ადიოდა 1 დესეტინის ფასი, დღეს 250—300 მანეთამდის ღირს. აი ამ ფასმა მოატყუა ჩვენი ღარიბი თავად-აზნაურობა და დაჰყიდა თავისი ნადელები. რასაკვირველია, ფული ადრე შეიჭმება და თვითონ დარჩებიან გულ-ხელ დაკრეფილნი.

საზოგადოდ, მიწის ფასის აწევამ საშინელი ვაი-უშველებელი და ალიაქოთი ასტეხა: შინაური ნასყიდობების გაუქმება, პირობების დარღვევა, ქვრივ-ობოლთა ნადელების მითვისება და მრავალი სხვა. არა სინიდისიერი მოქმედება ძალიან გახშირდა. აქ ერთი ჯურის ხალხიც გამრავლდა, რომელიც მხოლოდ ამისთანა საქმეებით იტენენ ჯიბეებსა. ვერ მომითმენია და მომყავს ორიოდე მაგალითი—ფაქტი: საწყალს ჩემს ნაცნობ კობლუხს არც კი შეუტყვია, როგორ გაიყიდა მისი 14 წლის წინედ ნაყიდი მამული, და ახალი პატრონი ჩამოუდგა კარზე. კობლუხმ ხმალ-ხანჯალზე იკრა ხელი და ჰსურს ძალა იხმაროს და ძალად მოზიარე არ ჩამოუშვას თავისს საკუთარს მამულში. მერე რა შედეგი მოჰყვება ამას, არ ვიცი და ჯერ-ჯერობით კი იმოქმედა: ახალი პატრონი არსად არა სჩანს. მე იმ აზრს ვადგივარ, რომ კობლუხი კატორღაში ამოჰყოფს თავს, რადგანაც ნებით არავის დაუთმობს თავისს მარჩენალს მამულსა. ერთს ბრწყინვალე თავადს №-ს ოცის წლის წინად თავისი ნადელის ერთი ნაჭერი შინაური პირობით მიეყიდა ოთხ მოსახლე აფხაზისათვის, და აი ეხლა, როცა ვერანი და უდაბური მიწა მშვენიერ მამულად იქცა და ფასმაც აიწია, თავადმა იკადრა და პირობა დაარღვია და გარეკა აფხაზები არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ იმოქმედა ამ თავადზე. მესამეც—სოხუმში ცნობილმა ვექილმა №-მა ამ ხერხით ჩაიგდო ხელთ მშვენიერი მამული და შვიდი მოსახლე აფხაზ-მეგრელნი ცარიელზე დარჩა: თუ რამე ებადათ ამ საცოდავთ, ამ მამულის ფასში მისცეს, მამული კი №-მა წაართვა! ამას წინად მე ვნახე ეს ოჯახობანი: ორს მათგანს გზის პირად სხვის სასიმინდეს

ქვეშ თავი შეეფარათ და მოსთქვამდენ მწარედ თავისს ბედს, ბედსა შავსა და უმოწყალოსა! ერთ-ერთი ჯამბაზ პალმის გაზეთის სულის ჩამდგმელთაგანიც ასევე მოიქცა და საჯაროდ განაცხადა: „როცა ფულს შეეხება საქმე, მაშინ სინდისიო...“ ველარ ვიმეორებ მისს სიტყვას, რათა მკითხველის გრძნობა არ შეილახოს!

ჰამუთ-ბეი

(დასასრული იქნება)

სასამართლო

წერილი ქუთაისიდან

9 თებერვალი.*)

სასამართლო განაგრძობს მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას.

გაბუნია. ავაზაკები ძალით შემოცვივდნენ სახლში. მე გამეღვიძა; მიბრძანეს: თავი ძირს დაიდე, ისე, რომ არ დაგვინახოვო; მაინც მოვასწარი ორი მათგანის სახის გარჩევა; როცა გამომძიებელმა წარმომიდგინა, ვუჩვენე იმ ორზე, რომელნიც იყვნენ ალ. დორთქიფანიძე და ივ. აგიაშვილი.

თავმჯდომარემ წაიკითხა გამომძიებლის ოქმი, სადაც ნათქვამია. გაბუნიამ გამომძიებელთან ვერც ერთი ვერ იცნოვო.

ირინე გაბუნია. ორი ავაზაკი შემოვიდა, ორი კი გარეთ დარჩა. მიბრძანეს თავი ძირს დაიდეო. მაინც მოვასწარი მათი სახის გარჩევა. სანთელი ეკავათ ხელში და ვხედავდი. ჩაბალახებში და ჩვენებურ ტანისამოსში იყვნენ. გამომძიებელთან ერთი მათგანი ვიცანი; აი ეს იყო. (აჩვენებს აგიაშვილზე) და მგონია ესეც უნდა უოფილიყო (აჩვენებს დორთქიფანიძეზე).

ბიბილაშვილი. გაბუნია იცნობდა ალ. დორთქიფანიძე უკანასკნელმა რვა წლის წინად გაძარცვა გაბუნია და არ ვიცი, მაგრამ მგონია მტრობა უნდა ჰქონდესთ ერთმანერთში. მას შემდეგ არ ვიცი შეხვდრიან ერთმანერთს თუ არა.

ასლან ცხადაშვილი. შემომივარდნენ; სანთელ სანთელი, მოითხოვეს გასაღებები და გატეხეს კამოდი. ცოლმა გაიღვიძა, უკანა კარებით გავიდა კარში და დაიწყო ყვირილი. ავაზაკებმა თოფი ესროლეს; შეშინებული ქალი მაშინვე შინ დაბრუნდა. არ ვცდები, მათში ერთია ალ. დორთქიფანიძე, რომელსაც როგორც მეზობელ სოფელში მცხოვრებს, კარგათ ვიცნობდი და დამეც მთვარიანი იყო. სხვები ვერ გავარჩიე. ერთს მაღალის ტანის ავაზაკს გაკავებული ვყავდი; მეორე კამოდს ამტვრევდა. როცა იმ მაღალმაც ხელი გამიშვა, მე გავვარდი კარში და სახლში კი დარჩნენ მამა და დედა და ჩემი ცოლი. მე გავეშურე მამასახლისთან და გათენებისას შინ დავბრუნდი და ეზოში ვნახე პატრონები ზოგი გატენილი და ზოგი ცარიელი. ჩემთვის, მგონია, არ უსვრიათ თოფი, თუმცა თოფის სროლა კი ასტეხეს.

ბაღდავაძე (მამასახლისი).—გათენებისას მოვედით ა. ცხადაშვილის სახლში. ა. ცხადაშვილმა გამომიცხადა, რომ ვიცანი ალ. დორთქიფანიძეო. იგივე სთქვა ამისმა ცოლმა. თოფის პატრონები ვნახეთ ეზოში. თოფის სროლა არ გამიგონია; ცხადაშვილებმა სთქვეს, რომ წინათაც ვიცნობდით ალ. დორთქიფანიძესაო.

სვანაძე. მე მეზობელი ვარ ცხადაშვილებისა. ყვირილი მომესმა, გავეშურე ცხადაშვილისაკენ, მისაშველებლად. ჩემი ეზოს ახლოს ორი კაცი შემხვდა, შევსძახე—რაღაც უბედურება მოხდა ცხადაშვილისას და მიეშველოთ-მეთქი. „რა შენი საქმე არისო!“ მითხრა ერთმა და უბრძანა მეორეს „მოჰკალიო“. ხმით ერთი მათგანი ალ. დორთქიფანიძეს მივამგვანე, რომელსაც 5—6 წელიწადი ვიცნობდი.

თეოფილე ცხადაშვილი. ალ. დორთქიფანიძის მამის ყანა ჰქონდა სარგებლობაში ასლანს და ალ. დორთქიფანიძემ კი წაართვა იგი. აქედან ასტეხა მტრობა,—ცხადაშვილს აღმასრულებელი ფურცლები აქვს ალ. დორთქიფანიძის წინააღმდეგ.

ივანე ცხადაშვილი და სახამბერიძე ამოწმებენ, რომ ასლანსა და დორთქიფანიძის შორის მიწით თაობაზე უსიამოვნება იყოო.

დურსუნ-ოღლი. ახალციხის გზაზე მივდიოდით სამი კაცი.. ოთხი შეიარაღებული კაცი დაგვხვდა. ჩვენ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გავბედეთ. წაგვართვეს ფული, ხანჯალი, და ცხენები. ერთი მათგანის სახე დამამახსოვდა და გამომძიებელთან ვიცანი. აი ეს იყო (აჩვენებს აგიაშვილზე).

კოჩალი-ოღლი და ვ. ნეჟლიუდ-ოღლი— ემოწმებიან წინანდელ მოწმეს. მეორემ სასამართლოში ვერ გამოიცნო გამცარცვავები.

ნიკო სიგუა. „სტრაჟნიკებმა“ ჩემს დუქანში მოიყვანეს ცხენები, ავაზაკებს წავართვითო. მეორე დღეს იმ სამმა თსმალელმა მითხრა: ავაზაკებმა გაგვგლიჯეს და ერთს კისერზე ნაჭრილობევი აქვსო.

ლიკლიკაძე (რკინის გზის დარაჯი). ლიანდაგის ახლოს, 200 საჟენის სიშორეზე ჩემგან, ვიღაც უცნობმა პირებმა მოიყვანეს ცხენები და გაუშვეს. სახეები ვერ გავარჩიე.

აბდალაძე. შემხვდა სამი თსმალელი. მითხრეს გაგვცარცვესო, ავაზაკთაგან ერთი მაღალი იყო, ერთი უფრო დაბალი და ერთსაც კისერზე ნაჭრილობევი ემჩნეოდაო.

კუჩუკიძე. 1901 წ. დეკემბერში აქედან მივდიოდი და გზაში შემეყარა ოთხი უცნობი კაცი. ორი ერთს ცხენზე იჯდა და ორსაც ცალცალკე ცხენები ჰყავდათ. ჩვენ ერთმანერს სალამი მივეცით. აქედან რომ გავიარე ოციოდე ვერსტი, შემხვდენ თათრები და მკითხეს—ხომ არავინ შეგხვდომიათ გზაში ცხენებითაო. მე ვუთხარი, ვნახე-მეთქი. მითხრეს: ის ცხენები ჩვენია, გაგვცარცვესო, და ერთ ავაზაკზე სთქვეს,—კისერზე მორჩენილი ჭრილობა ეტყობაო. მეტი არაფერი ვიცი.

სხდომა გათავდა 4 საათზე და გადაიდვა ორშაბათ დილამდის.

((გაგრძელება იქნება)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 თებერვალი

პეტერბურგი. 12 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა ბუხარის ემირი ინახულა.

12 თებერვალს ერმიტაჟის თეატრში მათ უდიდებულესობათა დასწრებით წარმოდგენა გაიმართა; მოპატიჟებულთა შორის ბუხარის ემირიც იყო. წარმოდგენის შემდეგ ვახშამი იყო, რომლის დროსაც ცეკვა გაიმართა.

როსტოვი-დონზე. ქალაქი აწესებს რკინის გზით მოტანილს საქონელზე გარდასახადს ქუჩების მოსაკირწყლავად.

ეკატერინოსლავი. ყოველ დღიურ გაზეთის „ვესტნ. იუგა“-ს პირველი ნომერი გამოვიდა.

მოსკოვი. სენატმა დაარღვია ხუხრინკოვის ცოლის და იმის შვილის საქმის გარდაწყვეტილება. ხუხრინკოვებს ბრალდებოდათ ტიხანოვის მოწამვლა. მოსკოვის სასამართლომ გაამართლა ისინი.

ხარკოვი. სენატორმა ტობიზენმა, დასტოვა რა ხარკოვის გუბერნია, მიმართა გენერალ ბოგდანოვიჩს თხოვნით, ახლად გამოსცეს იმის პატრიოტული ბროშიურა „უზენაესის ძალა“.

ვარშავა. თათბირის შემდეგ ალექსანდროვოში გერმანიის დელეგატები დასთანხმდნენ, რომ კალიშში სადგური გაიმართოს ვაგონების გადასაცლელად.—ვარშავის საჰიგიენო საზოგადოებამ გამოსცადა და დარწმუნდა, რომ ქვიშა-ნარევ კირით აშენებული სახლი კარგი გამოდგა და გლეხკაცებისათვის სასარგებლო იქნებაო.

ლოძი. მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ დაადგინა: ფინანსთა სამინისტროში პროტესტი გამოვაცხადოთ იმის შესახებ, რომ დამზღვევი საზოგადოებანი ბევრ სახლს აღარ აზღვევებენ და დასაზღვევი პრემიაც შეამცირესო.

ლოძი. იულიუს გენჰელის სააქციონერო საზოგადოებას შარშან 90,000 მანეთი მოგება ჰქონია.

კიევი. ახალი საბჭოს ხმოსნები აარჩიეს. 80 ხმოსნის მაგივრად 78 აარჩიეს.

მოსკოვი. მევენახეთა კრებაზე ზელაშის (საეკლესიო ღვინო) საქციამ ის აზრი გამოთქვა, რომ ღვინოში შაქრისა და ყურძნის სპირტის გარევა ნება დართული უნდა იყოსო.—ქალებმა წრე შეადგინეს, რომ შემახიელებისათვის შეწირულება და ნივთები შეკრიბონ.

ლონდონი. კიტჩენერი ატყობინებს მთავრობას, რომ ვოლმარანსტადთან ბურები ერთ ბატალიონ იომანრის და სამ როტა ქვეითა ჯარს დაეცნენო. ინგლისელებს ორი ზარბაზანიც ჰქონდაო; ცალიერ ფურგონების ქარავანს აცილებდნენ. ძლიერი ბრძოლის შემდეგ ფურგონების ქარავანი ბურებმა ჩაიგდეს ხელში. ბურების სადევნელად ჯარი გაიგზავნა.

ნიუ-იორკი. გერმანიის გემ „ჰოჰენცოლერნ“-ზე საპარადო სადილი გაიმართა. სადილის დროს პრინც ჰენრიხმა სთქვა: „ეს პირველადაა, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი გერმანიის იმპერატორის გემზე იმყოფებაო. ღმერთმა ბრძანოს, რომ ეს უკანასკნელად არ იყოს!“ რუზველტმა მადლობა გადაუხადა პრინცს სტუმრობისათვის და დაუმატა: დიდის სიხარულით ვეგებები იმ დღეს, როცა პრინც ჰენრიხს გერმანიის სამხედრო გემზე ვესტუმრებიო.

ირბიტი. ბაზრობაში კარგად ვაჭრობენ. თავი შაქარი ფუთი—5 მ. 10 კ. გაიყიდა, ფხვნილი შაქარი—4 მ. 50 კაპ.

ხარკოვი. დღეს ადგილობრივმა თავად-აზნაურობამ გუბერნატორად ნამყოფის სენატორის ტობიზენის პატივსაცემლად სადილი გამართა.

პეტერბურგი. 13 თებერვალს ბუხარის ემირი თავისი მემკვიდრით სადარბაზოდ წავიდა იმპერატორის გვარეულობის წევრებთანა და სამხედრო მინისტრთან.

13 თებერვალს ხელმწიფე-იმპერატორი პავლეს სამხედრო სასწავლებელში მიბრძანდა.

14 თებერვალი.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენ. ვესტნიკში“ გამოცხადებულია სამხედრო სამსახურის ის პროგრამმა, რომელიც საჭიროა საიმპერატორო სამხედრო-სამედიცინო აკადემიის სტუდენტთათვის.

განსამარტავად „პრავიტ. ვესტნიკის“ მე-35 №-ში დაბეჭდილი ამბისა, შესახებ სტუდენტის პომპასკევიჩის სიკვდილისა, გამოცხადებულია, რომ, როგორო მიღებულ ცნობებიდან სჩანს, თებერვლის 6-ს ღამე, მოსკოვში თავი მოიკლა ფიზიკო-მათემატიკის მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტმა კონოპასკევიჩმა.

ხელმწიფე დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა თავის საკუთარ ფულიდან შესწირა ათიათასი მანეთი შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ უმთავრესად თბილი ტანისამოსისა და ფეხ-საცმელის სასყიდლად.

გამოცხადებულია: ხელმწიფე-იმპერატორმა, თანახმად საერო განათლების მინისტრის მოხსენებისა, უმაღლესად ნება დართო საცდელად, ხუთი წლის განმავლობაში სამხედრო-საექიმო საიმპერატორო აკადემიაში მიღებულ იქმნენ სამინისტროს რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულნიც ისევ, როგორც გიმნაზიებში კურს დამთავრებულთ იღებენ, მხოლოდ ან აკადემიაში შესვლისათანავე ან პირველი წლის განმავლობაში უნდა გამოიცადნენ ოთხი კლასსის კურსის ლათინურის ცოდნაში.

13 თებერვალს შესდგა მეორე სხდომა სათევზაო ხალხთა შორისი კონგრესისა. ავსტრიის წარმომადგენელმა მმართველობის სახელით ვენაში მიიწვია ისინი შემდეგის კონგრესის გასამართავად. 17 თებერვალს კონგრესის წევრნი მოსკოვში მიდიან.

სარატოვი. სიღუხილის კომიტეტი ითხოულობს 30 საჩაიეს და სამკითხველოს გასახსნელად 22,000 მან. და სახალხო თავშესაფარებისათვის 12,000 მ.

ბერლინი. სალამოყნო-სატარიფო კომისიამ, 14 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ათისა, მიიღო მთავრობისაგან შეუწყნარებელი, პარტიათა შეთანხმებით შემუშავებული წინადადება პურზე ბაჟის მომატების შესახებ. კომისიის ორ წევრს ხმა არ მიუცია, ორი წევრი არ დაესწრო.

ლოძი. კალიშის რკინის გზა რომ გაიხსნება, იყიდის 32 ლოკომოტივი. 960 ვაგონი და 230 პლატფორმა. ყველა ეს ნაყიდია რუსეთის ქარხნებში.

კიევი. იმედი აქვთ რომ ნა[illegible] ხსნება.

ბაქო. „ორენის“ ფირმის გამგე პ. ე. ასლანა სადღაც გაიქცა და თან წაიღო 60,000 მან. ფირმისა და 150,000 მან. სხვა-და-სხვა პირებისაგან ბეთ აღებული. დაწესდა ფრახტი გემებზე 1⅛ კაპ. ფუთზე და 1¾ კ.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება, რომ 600 ბური 10 თებერვალს შეეცადა გასულიყო სამხრეთიდ მ ბოტას მთისაკენ. ბევრმა მოიხერხა ეს, ხოლო 15 მოუკლეს და 6 დაუჭრეს.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 5 თებერვალს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,00	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	64,65	
ბერლინზე „	46,27½	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	5—6½%	
1% სახელმწიფო რენტა	96⅛	გამყიდვ.
1½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	„
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478½	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	385½	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	313½	„
3½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89¾	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	„
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	„
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის ღამის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელი“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „**მოამბე**“-ს მთელის წლით გამოიწერს, „**ცნობის ფურცელი**“ **სურათებიანი დამატებით** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე 1 ტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ №№ 1721, 1722 და 1723.

Дозволено цензурою Тифлисъ, 14 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.